შ.პ.ს კად სტილი"

ქ.თბილისში , აბანოთუბანში, აბანოს ქუჩა #2-ში მდებარე მეფე ერეკლეს აბანოს მშენებლობის (რეკონსტრუქციის) ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2022წ

ქ.თბილისში , აბანოთუბანში, აბანოს ქუჩა #2-ში მდებარე მეფე ერეკლეს აბანოს მშენებლობის (რეკონსტრუქციის) ორგანიზაციის პროექტი

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო რეკონსტრუქციის პროექტი, ტერიტორიის დათვალიერება და შესწავლა. სამშენებლო ობიექტთან სამანქანო მისასვლელი გზა არსებობს რაც წარმოდგენილია სამუშაოთა წარმართვისი და ორგანიზაციის გეგმაზე.

უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატური და სეისმური ფაქტორებით: სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას. წლის საშუალო ტემპერატურა +12,1°C;
ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -16°C;
ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;
ნალექების წლიური რაოდენობა _ 555 მმ;
ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ _ 50 მ/წმ; _ ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ _ ჭ0=1,44 კპა;
თოვლის საფარის წონა _ 0,50 კპა;

რეკონსტრუქციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენაზე;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- საკადასტრო გეგმა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- ფოტომასალა;
- ძირითადი შენობის აზომვითი ნახაზები;
- რეკონსტრუქციის პროექტი;

1. სამუშაოთა ჩამონათვალი

მშენებლობის განხორციელების პროცესი იყოფა რიგებად

I რიგი – მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები;

II რიგი – მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები

რიგები იყოფა ეტაპებად

მოსამზადებელი სამუშაოები:

1. **ინტერიერში კედლებისა და გადახურვების გასუფთავება;** დასრულებულია

ძირითადი სამუშაოები

2.აბანოს ფოიეში კამარის მოწყობა;

3. იატაკების მოხსნა არქეოლოგისა და რესტავრატორის მეთვალყურეობის ქვეშ; დასრულებულია

4. ორმარშიანი რკინის კიბის მოწყობა;

5. ფასადების გაწმენდა გამარილებისგან;

6. სახურავზე არსებული სავენტილაციო სამი ფანჩატურის გადაწყობა;

7. გადახურვის ნიშნულზე ამორტიზირებული, გამოქარული და დაშლილი საფასადე აგურის წყობის რეაბილიტაცია;

8. მსუბუქი კონსტრუქციის მისაღების მოწყობა;

9. საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი; დასრულებულია ნაწილობრივ

10. ბალასტით შევსება, ბეტონის მოჭიმვა და იატაკის დასაგებად მომზადება; დასრულებულია

11. აუზების მოწყობა და მოსაპირკეთებლად მომზადება; დასრულებულია

12.კარის ჩარჩოების მონტაჟი;

13.ფოიესა და ძველ ნაწილში, ქვედა რეგისტრების მოპირკეთება თეთრი და შავი მარმარილოთი;

14.კედლების გალესვა კირით და მხატვრულად დამუშავება „სტუკოს“ ტექნიკით;

15.იატაკების და აუზების მოპირკეთება;

16.საპირფარეშოებისა და საშხაპეების ფურნიტურის მონტაჟი;

17.კარების მონტაჟი;

18.კამარა-კედლების სამხატვრო სამუსაოები;

19.ტერიტორიის დასუფთავება და სამშენებლო ნაგვის გატანა;

2.სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

№	დასახელება	მარკა	რაოდენობა ცალი
1	2	3	4
1	თვითმცლელი ძარიანი და სპეც-დანიშნულების ავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის გადასატანად	სხვადასხვა	2
2	გადასატანი კომპრესორი	so-48	1
3	ელექტროშესადუღებელი საჭრელი აგრეგატი	კომპ.	1
4	ავტოკენური შედუღების და ჭრის აპარატი	კომპ.p ku-35	1
5	ბეტონის ტუმბო	-	1
6	ლითონის სახარაჩო სექციები 100 მ2 ფართობისათვის	კომპ.	1
7	ავტოამწე	-	1
8	ხელის ელექტრო პნევმატური ჩაქუჩი	კომპ.	2
9	ჯალამბარი	ც	2
10	ნაგავსატარი	კომპ.	2
11	მიმღები ნაგვის ბუნკერი	კომპ.	1
12	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ.	10

3. არჩეული მშენებლობის მეთოდის აღწერა, წარმოების წესები და დასაბუთება

მშენებლობის ორგანიზაციის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა სამახსოვრო კრებული "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებიდან".

ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს;

• СНиП 11-4-80 " უსაფრთხოების ტექნიკაში";

• სახანძრო უსაფრთხოების წესებისამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

• СНиП 1.06.05-85 "მშენებლობისსადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";

აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

-გარემოს დაცვის თაობაზე; 1996 წელი;

-წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის და წყლის დაბინძურების, წყლის აღების და ჩაშვების, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო და სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

ღია ტერასაზე, გუმბათების გარშემო გვიანდელი მოზაიკური ფენილის მოსახსნელად გამოყენებული იქნება ხელის პნევმატიური ჩაქუჩები. მოზაიკური ფენილის მოხსნით შემცირდება არსებულ გადახურვაზე დატვირთვა. სამშენებლო ნაგვის გატანა მოხდება ხელით. რეკონსტრუქციის საბოლოო და ზუსტი მეთოდი დადგინდება სამუშაოთა წარმოების პროექტისა ტექნიკურ-ეკონომიური ანგარიშების შედგენის შემდეგ.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდება ორი ბრიგადის მიერ, 5-5 მუშის ოდენობით

4.მშენებლობის ხანგრძლივობის ანგარიში

რეკონსტრუქცია დამკვეთის მიერ განსაზღვრულია 16 თვის ვადით, რაც არის გაწერილი და გათვალიწინებული მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში.

ობიექტის რეკონსტრუქცია განხორციელდება ეტაპობრივად 16 თვიანი პერიოდით, რაც შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების შემთხვევაში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ქ, თბილისის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც.

სამუშაოთა შესრულების ვადების დაცვა უწყვეტ ფინანსირებაზეა დამოკიდებული, რაც უნდა გაითვალისწინოს დამკვეთმა.

აღნიშნულის საფუძველზე შედგა რეკონსტრუქციის განხორციელების კალენდარული გრაფიკი.

5. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩამონათვალი, მათ შორის მოსახლეობის დროული შეტყობინება და ევაკუაცია (საჭიროების შემთხვევაში)

სამუშაოები მიმდინარეობს მოსახლეობისთვის ღობით შემოსაზღვრულ სამშენებლო ტერიტორიაზე გრიშაშვილის და აბანოს ქუჩის მხრიდან, რომელიც აფერხებს მოსახლეობის ტერიტორიაზე შეღწევას.

6. ნაგვის გატანისა და უტილიზაციის გადაწყვეტის აღწერა

მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ნაგავი შესაბამისი სახით გადამუშავდება და უტილიზირდება. დატოვებული ნაგავი იწვევს სამშენებლო მოედნის, შემოსასვლელისა და გასასვლელის გადაჭედვას.

სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იყოს გატანილი. ნაგვის გატანა ხდება გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან - ნორიოს ნაგავსაყრელზე. ობიექტიდან ნაგავსაყრელამდე მანძილი 30-40კმ-ია.

ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ სამშენებლო ტერიტორიიდან მოშორებული უნდა იყოს დროებითი შენობები და ნაგებობები, დარჩენილი მასალები და კონსტრუქციები.

7. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები

წინამდებარე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ)-ი ითვალისწინებს СНиП 3.01-01-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

მიიღებს თუ არა დამკვეთისგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს.

სამუშაოთა დაწყება შესაძლებელია საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამსახურიდან (ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური) სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.

ძირითად შენობასთან ამწის განთავსებისთვის საჭიროა ტერიტორიის მომზადება, ნაგავი გატანილ იქნას მოედნიდან, ქალაქის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით, შესაბამის ადგილზე. სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანა მოხდეს ავტოთვითმცლელებით.

დაშლა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის

ქვეშ

8. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად "СНиП 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშების პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით;
2. მაღალ სიმაღლეზე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ასვლისთვის უნდა დაიდგას ინვენტარული კიბეები ყოველ 25-30 მეტრში და მოეწყოს ხარაჩოები;
3. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან;
4. ზოგიერთ სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს და თავსაბურავებს;
5. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
6. სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისკენ.

9. მომუშავეთა შორის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობათა სამშენებო ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* “უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე” და სხვა ნორმატულ- საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო

სტანდარტში 12.013-88 ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტრო კაბელები, ელექრტო სადენები და ელექტრო მოწყობილობები კი იზოლირებულად. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია სამშენებლო მოედანზე.

ამწის მუშაობის პერიობში დაუშვებელია უცხო პირთა, დაუსაქმებელ მუშა-მომსახურეთა ყოფნა, სამშემებლო გენგეგმაზე შემოფარგლული ავტოამწის მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში.

ღამის პერიოდში აუცილებლად უნდა განთავსდეს უსაფრთხოების ზონის აღმნიშვნელი ფირნიშები და განათდეს.

სამუშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფად აუცილებელია მშენებლობის ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვეებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი.

სამუშაო ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით და შესაბამისი ეკიპირებით.

დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

ლითონის ელემენტების ჩაჭრას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით 5 მეტრის რადიუსის ფარგლებში უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერის დაფიქსირებით.

10. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

მშენებლობისას აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისგან თავის ასარიდებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებზე.

დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზან- შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

ზემოთ მითითებული დებულებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით

11. მოპ-ის შედგენისთვის ნორმატიული ბაზა

СНиП 3.0.1 0.1-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"

СНиП 3.01.01-85 „Оригинализация строительногопроизводства’’ М.,1989

СНиП -4-80 „Техника безопасности на строительстве’’ М.,1981

Справочник инженера строителя, М., 1989

Строительные стреловые самоходные краны, М., 1984

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შორის უსაფრთხოების და სანიტარულ ჰიგიენური მომსახურეობის საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია საამშენბლო ნორმების საქართველოს მთავრობის #41 დადგენილების პუნქტი #20-ის მიხედვით.

СНиП 1.0.4 0.3-85 "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე"

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის;

კრებული-სამახსოვრო "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები", "ამონაკრები მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან", ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი; ქართულ ენაზე. СНиПIII-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე"


სიტუაციური გეგმა
მ. 1 : 1000
ექსპლიკაცია
1. ერეკლეს აბანო
2. სამეფო აბანო
3. ნარიყალას ციხე
4. წმ. ნიკოლოზის ეკლესია
5. 40 სებასტიელი მოწამის ეკლესია
6. ჭრელი აბანო
7. აბანო "ფანტაზია"
8. სასტუმრო "ტიფლის ვერანდა"
9. ჰეიდარ ალიევის ბაღი
10. მეჩეთი
11. მეტეხის ხიდი
12. მეტეხის ეკლესია
13. ვახტანგ გორგასლის მოედანი
14. ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწ. მუზეუმი
15. თბილისის არქეოლოგიურ - ეთნოგრაფიული მუზეუმი
16. გულოს აბანო
მტკვარი
ვახტანგ გორგასლის ქ.
სამღებროს ქ.
აბანოს ქ.
-10 0 10 20 30 40 50 60 70 80 90 100 მ.

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.18.04.019.013**
განცხადების ნომერი: **882020689523**
მომზადების თარიღი: **27/12/2020**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **395 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



05/25 მშენებარე ნაგებობა
05/25 შენობა/ნაგებობა
ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ხაზობრივი ნაგებობა
ვალდებულება

შ.პ.ს კირკიტაძე და კომპანია (ს/ნ4162940067)

პეკინის ქ. №27 ტ: 2 37 23 00 მობ: 5 99 56 22 76, ფაქსი: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

ქალაქი თბილისი, გრიშაშვილის ქ. №3 (ს/კ 01.18.04.019.030), შპს "ბახმარო"-ს (ID 204383201) საკუთრებაში არსებული 1264 კვ.მ.
ქალაქი თბილისი, ქუჩა აბანო, №2, (ს/კ 01.18.04.019.013), შპს "ჭრელი აბანო"-ს (ID 204543299) საკუთრებაში არსებული 395 კვ.მ.
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მათი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხ. შენობა		ხის ღობე	წ	წყალგაყვანილობა
ძა	არასაცხ. შენობა		ღობე	გ	გაზი
	ფარდული		ქვის კედელი	კ	კანალიზაცია
	მშენებარე შენობა		კედელი	სან	სანიაღვრე
	წიწვოვანი ხე		ფლატე	კვ	კავშირგაბმულობა
	ფოთლოვანი ხე		რკინიგზა		ელ. ქსელები
	ხილკენკროვანი მცენარე		სამეთვალყურეო ჭები	თგ	გათბობა
	გარე განათება		ელ. გადამცემი ხაზი		

შენიშვნა: 1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები

2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შ.პ.ს. კირკიტაძე და კომპანია (ს/ნ4162940067)

პეკინის ქ. №27/10 ტ: 2 37 23 00 მობ: 5 99 56 22 76, ფაქსი: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27/10 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

www. kirkitadze.ge *kirkitadze@mail.ru*

დირექტორი:		კირკიტაძე
აზომა:		მაჩიტაძე
დახაზა:		ქ. კვეკვეცია
დამკვეთი		შპს "ჭრელი აბანო" შპს "ბახმარო"
მასშტაბი: 1:500		30.03.2021წ.

...\abanoebi_30 03 (01.18.04.019.0 4/2/2021 2:25:17 PM

ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო გ ე ნ გ ე გ მ ა

1 : 500



<u>განმარტებითი ბარათი</u>

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად შემოკლებულ ვარიანტში.
2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 გვ 468 პ 17-ის მიხედვით T= 14 თვე, სადაც 2.0 თვე მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. გვ 2 პ 11-ის მიხედვით
   T =14.0+2.0=16.0 თვე. გვ 4 პ 17-ის მიხედვით T =14.00X1.15=16.0 თვე
3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წყაროთ წარმოდგენილია СниП III4-80*.
4. ელექტრო შედუღებითი სამუშაოებისას გათვალისწინებულ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ღონისძიებები.
5. სამუშაოების დაწყებამდე დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი.

ТП-5 ტექნიკური დახასიათება

1.ტვირთამწეობა-------320.00კგ
2.აწევის სიმაღლე--------20.00მ
3.აწევის სიჩქარე----------0.50მ/წ
4.ზომა ----------1.50მ-0.90მ

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	დამკვეთი	მისამართი	მასშტაბი	ნახაზის დასახელება	
დირექტორი	ი. გამყრელიძე		შ.პ.ს "ჭრელი აბანო"	ქ.თბილისი, აბანოთუბანი, აბანოს ქ. №2	1 : 500	სამშენებლო გენგეგმა	
პროექტის ავტორი	ი. გამყრელიძე						
არქიტექტორი	გ. სუმბაძე		პროექტის დასახელება		სტადია		
არქიტექტორი	ი. გამყრელიძე		ერეკლეს აბანოს რეაბილიტაცია - ადაპტაციის პორექტირებული პროექტი		რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტი	ფურცლის №	ფორმატი
						მოპ 1	A3

CAD style construction architecture design


۱ ۶۳۳۶
۱۱ ۶۳۳۶
I ՇՀՅՅ
II ՇՀՅՅ
III ՇՀՅՅ
IV ՇՀՅՅ
V ՇՀՅՅ
VI ՇՀՅՅ
VII ՇՀՅՅ
VIII ՇՀՅՅ
IX ՇՀՅՅ
X ՇՀՅՅ
XI ՇՀՅՅ
XII ՇՀՅՅ
ԱՇԽԱՏԱՆՔԻ ՊԼԱՆԱՎՈՐՄԱՆ
ՀԱՍՏԱՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՐ ՀԱՄԱՁԱՅՆ ՊԱՅՄԱՆՆԵՐԻ ՀԱՄԱՁԱՅՆԱՑՈՒՄ
ՀԱՄԱՁԱՅՆԱՑՎԱԾ ՇԻՆԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՏԵՍԱԿԱՆ ԳՐԱՖԻԿ
ՇԻՆԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՐ ՀԱՄԱՁԱՅՆԱՑՎԱԾ